პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# ახალი შირაკი
# Ахали Ширaки

საქართველოს კომუნისტური პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.
Орган Цителцкаройского райкома Коммунистической партии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

№ 32 (1498) | ოთხშაბათი СРЕДА | 14 მარტი МАРТ | 1956 წ. г. | ფასი ЦЕНА 15 коп. კაპ.

## კედლის გაზეთები და საგაზაფხულო თესვა

...იონის კოლმეურნეები და მტს-ების მუშაკები ...ით სწავლობენ მშობ-...ური კომუნისტური პარტი-... XX ყრილობის ისტორიულ ...წყვეტილებებს და ახალ ...რდილ ვალდებულებებს ...ულობენ, რაზმავენ მთელ ... დიდმნიშვნელოვანი ...ნის—საგაზაფხულო თეს-... სანიმუშოდ ჩატარებისათ-...

... ამოცანის წარმატებით ...ის საქმეში კოლმეურ-...ების და მტს-ის პარტიულ ...ნიზაციებს აქტიურად უნ-... ეხმარებოდნენ კედლის გა-...ები, რომელთა ამოცანას ...ადგენს სისტემატურად, ...კრეტული ფაქტების ჩვენე-... გააშუქონ საგაზაფხულო ...-თესვის სამუშაოები, მექა-...ზატორთა შორის სოცია-...ისტური შეჯიბრების მიმდი-...ობა, ამხილონ ამ საქმეში ...ბული ნაკლოვანებები და ...ნონ გზები მათი გამოს-...რებისათვის.

... მიმართულებით ბევრი ...ტიული ორგანიზაცია კარ-... იყენებს კედლის გაზეთს, ...მელიც თავის მხრივ ნაყო-...ად ეხმარება მათ. მაგა-...თად, გამარჯვების მტს-ის ...ლის გაზეთი „გამარჯვება" (...დაქტორი გ. ნატროშვილი) ... სოფელ არბოშიკის კალი-...ნის სახელობის კოლმეურ-...ბის კედლის გაზეთი „კოლ-...რნის ხმა" (რედაქტორი ...ჭელაშვილი) კარგად აშუ-...ებ საგაზაფხულო ხვნა-თეს-... საკითხებს, მათში მოთავ-...ული წერილები გადმოგვ-...ენ თუ რა მუშაობას ეწე-...ნ მემინდვრეები თესვისათ-... წერილების ავტორები გა-...დულად აკრიტიკებენ ნაკ-...ვან მხარეებს და უჩვენებენ ...თ მიზეზებს.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის საკითხებთან დაკავშირებით კედლის გაზეთებს დროულად და შინაარსიანად უშვებენ ზემო ქედის სტალინის, სახელობის, ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის, ქვემო ქედის და ჯაფარიძის კოლმეურნეობებში, წითლის მტს-ში.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ იყენებს ძირეულ პრესას. მაგალითად, არხილოს კალოს კიროვის, მირზაანის მე-18 პარტყრილობის, ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში დაგვიანებით უშვებენ კედლის გაზეთებს, მათში ზერელედ შუქდება საგაზაფხულო თესვის დაწყების საკითხები, არ არის ნაკლოვანებათა კრიტიკა მაშინ, როცა ნაკლოვანებები ბევრია.

რაიონის კოლმეურნეობებისა და მტს-ების პარტიული ორგანიზაციების საპატიო ამოცანაა უფრო ქმედითად იბრძოლონ მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის სანიმუშოდ ჩატარებისათვის, რომლის მიღწევა შეიძლება მაშინ, თუ აქედანვე ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას მემინდვრეებს შორის, შინაარსიანად მოვაწყობთ სააგიტაციო მუშაობას, მოწინავეთა გამოცდილებების პროპაგანდას, დავრაზმავთ მთელს საკოლმეურნეო აქტივს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის.

ყველა ამ დიდ და პატრიოტულ საქმეში კედლის გაზეთს შეუძლია ნაყოფიერი მუშაობის გაწევა და ეს საუკეთესო საშუალება პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ უნდა გონივრულად გამოიყენონ.

## ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტის გამო დიდ ბრიტანეთში

როგორც საბჭოთა პრესა ... იუწყებოდა, სსრ კავში-... მინისტრთა საბჭოს თავ-...მჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა ... სსრ კავშირის უმაღლესი ...ჭოს პრეზიდიუმის წევრმა ... ს. ხრუშჩოვმა მიიღეს დიდი ...ტანეთის პრემიერ-მინისტ-...ის სერ ანტონი იდენის მი-წვევა მიმდინარე წლის გაზაფხულზე ესტუმრონ შეერთებულ სამეფოს.

ამჟამად მიღწეულია შეთანხმება, რომ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დიდ ბრიტანეთში ჩავლენ 18 აპრილს და იქ დარჩებიან 10 დღეს.

(საქდესი).

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 8 მარტის ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში შემოღებულ იქნას ნორმალურთან შედარებით ორი საათით შემცირებული, ესე იგი ექვსი საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც ამჟამად აქვთ შვიდი საათის სამუშაო დღე, დასვენების წინა და უქმეების წინა დღეებსა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაწესდეს აგრეთვე ექვსი საათი. იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ ექვსი საათისა და ნაკლები ხნის სამუშაო დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში არ შეიცვალოს.

აღნიშნულ დღეებში მუშაობა უნდა იწყებოდეს ჩვეულებრივ დროს და შეიძლება წარმოებდეს სადილისათვის შესვენების მოუწყობლად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის შეთანხმებით პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან.

2. განუწყვეტელ წარმოებებში, აგრეთვე სამუშაოთა ცალკეულ დარგებსა თუ სახეობებში, რომლებშიც წარმოების პირობების მიხედვით შეუძლებელია შემცირებული სამუშაო დღის შემოღება დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში, მუშებსა და მოსამსახურეებს დასვენების და უქმე დღის ყოველ ოთხ წინა დღეში, რომლებშიც რვა-რვა სათს იმუშავეს, მიეცეთ დამატებით ერთი დასვენების დღე.

ცალკეულ სეზონურ სამუშაოებზე, სადაც დასვენების დამატებითი დღეების მიცემა სეზონის პერიოდში შეუძლებელია, დასაშვებია გამონაკლისის სახით ასეთი დღეების შეჯამება მთელი სეზონის განმავლობაში და დამატებითი დასვენების დღეების მიცემა სეზონთა შორის პერიოდში.

სამუშაოთა იმ დარგებისა და სახეობათა ნუსხას, რომლებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ პუნქტში აღნიშნული კომპენსაციები, აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების მინისტრები, პროფკავშირთა სათანადო ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

3. შემოღებულ იქნას დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების შემდეგი წესი:

ა) დროითი ანაზღაურებისას ხელფასი მიცემულ იქნას, როგორც სრული სამუშაო დღისათვის;

ბ) სანარდო ანაზღაურებისას ხელფასი გაიცეს შესრულებული სამუშაოს თანახმად. ამასთან საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ მუშათა უფრო ნაყოფიერი მუშაობის პირობები წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სამუშაო ადგილის უკეთ მოწყობის, გაცდენისა და სამუშაო დროის სხვა დანაკარგის ლიკვიდაციის გზით, რათა მუშების თვიური ხელფასი არ შემცირდეს დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირებასთან დაკავშირებით.

4. დაევალოს სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლას, სამინისტროებსა და უწყებებში ხელფასის დაწესებულო ფონდების ფარგლებში, აგრეთვე წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის თვითღირებულების შესახებ დაწესებულ დავალებათა უთუო შესრულებას წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, შინარეზერვების ყველაზე სრული გამოყენებისა და შტატებში ზედმეტობის ლიკვიდაციის საფუძველზე.

5. დაევალოთ სამინისტროთა, უწყებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ადგილობრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ იმ აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებასთან დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში: ცვლილებანი საგარეუბნო და ადგილობრივი ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სავაჭრო და კომუნალური საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრალურ-სანახაობითი, აგრეთვე საბავშვო, სამედიცინო და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმში.

## სასოფლო საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 იანვრის დადგენილებით მიმდინარე წლის პირველი მარტიდან სასოფლო საბჭოებს დაეკისრათ სოფლის მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისა და სხვა გადასახდელების სახით შემოსული ფულის მიღება, ხოლო დამზადებათა ორგანიზაციების რეორგანიზაციის შედეგად, ისინი გახდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების უშუალო ორგანიზატორები. პარტიისა და მთავრობის აღნიშნული დადგენილება კიდევ უფრო ზრდის სასოფლო საბჭოების როლს, მათს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებმა, გაითვალისწინეს რა სასოფლო საბჭოების წინაშე მდგარი მეტად დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, საჭირო ღონისძიებანი გაატარეს სასოფლო საბჭოების მუშაკთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭო ამ ახალ, მეტად დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეს სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა და საუკეთესო შედეგებსაც მიაღწია. მაგალითისათვის ავიღოთ არბოშიკის საბჭო, რომელმაც 8 მარტისათვის გადასახადების კვარტალური გეგმა 188 პროცენტით შეასრულა, რძის სავალდებულო ჩაბარებისა—202 პროცენტით, კვერცხისა—332 პროცენტით; ქვემო ქედის სასოფლო საბჭომ გადასახადების გეგმა შეასრულა 100 პროცენტით, ხორცის სავალდებულო ჩაბარებისა—101, რძის—164 და კვერცხისა—616 პროცენტით.

მაგრამ ყველა სასოფლო საბჭოში როდი გაიგეს სათანადოდ პარტიისა და მთავრობის ახალი ღონისძიება. კვლავ ძველებურად განაგრძობენ მუშაობას და ნაკლებ ინიციატივას იჩენენ მუშაობაში წითელწყაროს სადაბო, გამარჯვების, ზემო მაჩხაანის და სხვა სასოფლო საბჭოებში.

სადაბო საბჭომ I კვარტლის ხორცის დამზადების გეგმა მხოლოდ 38,8 პროცენტით შეასრულა, კვერცხისა — 77 პროცენტით; ზემო მაჩხაანის სასოფლო საბჭომ ხორცის დამზადების გეგმა შეასრულა 14,9 პროცენტით, გამარჯვების საბჭომ—37,3 პროცენტით.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი გადასახადების ამოღების საქმეშიც.

საჭიროა სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეებმა გარკვეული დასკვნა გამოიტანონ არსებული მდგომარეობიდან, თავიანთი ყოველდღიური მუშაობა მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად განხორციელების საქმეს.

სასოფლო საბჭოები ვალდებულნი არიან მუშაობაში ფართოდ ჩააბან სოფლის აქტივი, განამტკიცონ მასებთან კავშირი, მუდმივმა კომისიებმა უნდა გამოიჩინონ მეტი დაინტერესება და ინიციატივა. მთელი მუშაობა უნდა წარიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების განუხრელად შესრულებისათვის.

**ა. ლორთქიფანიძე,**
რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე.

# საბათლოელი კოლმეურნეები იბრძვიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის!

## საკოლმეურნეო წარმოების ავანგარდში

საბათლოელმა კოლმეურნეებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. ისინი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და ვალდებულება იკისრეს საუკეთესოდ გამოაზამთრონ პირუტყვი და სანიმუშოდ მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის.

კოლმეურნეთა ამ პატრიოტულ ინიციატივას სათავეში უდგა პირველადი პარტიული ორგანიზაცია და კომუნისტები, რომლებიც პირადი შრომის მაგალითებით აღაფრთოვანებენ კოლმეურნეობის წევრებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა დროულად განაღდებისათვის ბრძოლაში.

გამოქვეყნდა თუ არა პარტიის XX ყრილობის მასალები, აგიტატორებმა კოლმეურნეებს გულდასმით გააცნეს ისინი და საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე საქმიანი ღონისძიება დასახეს.

პარტიულმა ორგანიზაციამ დოლის დაწყებამდე შეისწავლა მეცხვარეობის ფერმის მდგომარეობა. დოლის კამპანიის ორგანიზებულად ჩატარების საკითხი განიხილა კრებაზე, სადაც გამოირკვა, რომ ფერმის მუშაკებმა გასული წლის დეკემბერშივე მოამზადეს ბაკები, საბატკნეები და კორაკნები, მოიმარაგეს საკვები, მაგრამ დოლის ნორმალურად ჩატარებისათვის საკმარისი არ იყო მუშახელი.

პარტიულმა კრებამ მეცხვარეობის ფერმის მუშაკთა დასახმარებლად გაგზავნა 5 კომუნისტი, რომელთაც საუკეთესოდ იციან ცხვრის მოვლა-პატრონობის წესები. ამის შედეგად დოლი ნორმალურად წარიმართა. ამჟამად ფერმაში მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა 1.800-ზე მეტი ბატკანი. მარტო პ ი რ ვ ე ლ ბრიგადაში, ს ა დ ა ც ბ რ ი გ ა დ ი რ ა დ მუშაობს მეზლუმ დავითიანი, მიღებული 430 ბატკანი მთლიანად შეინარჩუნეს. მეცხვარეები სხვა ბრიგადაშიც ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მთლიანად გამოზარდონ მიღებული ნამატი.

პარტიულმა ორგანიზაციამ აგრეთვე დროულად განიხილა საკითხი საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ.

კრებაზე სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა: გ. არუსტამიანმა, ა. ალახვერდიანმა, ვ. ასრიანმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობა ჯერ კიდევ მზად არ არის საგაზაფხულო თესვისათვის — სათესი მანქანებიც მზად არ არის, კოლმეურნეობას აკლია საგაზაფხულო ქერის თესლი და უკონდიციოა მზესუმზირას სათესლე მასალა.

არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიება და კომუნისტების აქტიური მონაწილეობით ზამთრის კარგ ამინდებში გაწმინდეს ნაკვეთები და მოხნეს, მოამზადეს თესლები, შეაკეთეს სათესი მანქანები და უკვე დაიწყეს საგაზაფხულო ქერის თესვა.

საბათლოელი კოლმეურნეები ახლა პოლიტსკოლებსა და პოლიტწრეებში გულდასმით სწავლობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

### 1955 წელი

**გასული სამეურნეო წელი გარდატეხის წელი იყო საბათლოს კოლმეურნეობაში. აქ წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ნათესების მოვლა-პატრონობა, რის შედეგად ჰექტარზე მიღებული იქნა ხორბალი 16,6 ცენტნერი, 106 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,3 ცენტნერი სიმინდი, 9,5 ცენტნერის ნაცვლად კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 14,6 ცენტნერი მზესუმზირა, 21,4 ცენტნერი ქერი, რამაც საგრძნობლად გაზარდა კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება.**

**ხოფელ საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გულდასმით განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები. საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცების, კოლმეურნეთა კულტურულ-მატერიალური დონის ამაღლებისა და მშობლიური პარტიის დავალებათა განუხრელად განხორციელებისათვის კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს.**

**საბათლოელ კოლმეურნეთა ვალდებულებაა 1960 წლისათვის გათვალისწინებული მოსავლიანობისა და წველადობის გეგმები შეასრულონ 1958 წლისათვის, რომლის წარმატებით განაღდებისათვის ორგანიზებულად შეუდგნენ მუშაობას.**

## № 2 ბრიგადაში...

კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეორე ბრიგადა, რომელსაც 4 წელია კომუნისტი მუშეღ აგაჯანიანი ხელმძღვანელობს, განუხრელად მიდის წინ და ყოველწლიურად ადიდებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. ბრიგადაში გაერთიანებული კოლმეურნეები, მექანიზატორებთან ერთად, მტკიცედ იცავენ მიწათმოქმედების აგროტექნიკას.

ბრიგადამ გასულ წელს გეგმიური 14 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 17 ცენტნერი ხორბლის მოსავალი მოიყვანა, ხოლო მაღალმოსავლიანი 80 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე კი მიღებული იქნა 21 ცენტნერი ხორბალი, 21,3 ცენტნერი ქერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაადიდეს სიმინდის ნათესი ფართობი, 30 ჰექტარზე დათესეს კვადრატულ-ბუდობრივი წესით და თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 18 ცენტნერი მარცვალი მოიყვანეს, ივნისში 25 ჰექტარ ქერის ნაწვერალზე დათესილი სიმინდიდან ჰექტარზე 24 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა კოლმეურნეები, მჭიდროდ დარაზმა ისინი მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრებისათვის. ბრიგადა ენერგიულად შეუდგა მძრალების საგაზაფხულო დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა ს, დროულად მოამზადა საგაზაფხულო კულტურების თესლები და პირველი შესაძლებლობისთანავე დაიწყეს ქერის თესვა.

წელს ბრიგადა სიმინდს 60 ჰექტარზე დათესავს, მზესუმზირას—70, გაზაფხულის ქერს—40 ჰექტარზე. ამასთან, სათოხნი კულტურები მთლიან ფართობზე მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივად დაითესება.

ბრიგადაში მ ო მ უ შ ა ვ ე 63 კოლმეურნე უკლებლივ გავიდა მინდვრად. ზოგი მათგანი თესავს, ნიადაგს ამზადებს, მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ ატარებს ბრძოლას და შრომის ამ საერთო ძალით ქმნიან უხვი საკოლმეურნეო დოვლათის მტკიცე საფუძველს.

## წველადობის მკვეთრი ამაღლებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის ბევრი რამ გაკეთდა კოლმეურნეობაში. აქ პირველ რიგში ხელი მოჰკიდეს საკვები ბაზის განმტკიცების საქმეს. გასულ წელს თვითეულ ძროხაზე დაამზადეს 6 ტონაზე მეტი სიმინდის სილოსი, მეწველი ძროხები გადაიყვანეს ბაგურ კვებაზე, ხბორების გამოზრდა დაიწყეს ასხლეტის წესით, რის შედეგადაც ერთი-ორად იმატა წველადობამ. ასე, მაგალითად, თუ 1954 წლის ოქტომბერში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილი იყო 28,8 ლ ი ტ რ ი რძე, 1955 წლის ოქტომბერში წველადობა 47 ლიტრამდე გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წლის იანვრის თვესთან შედარებით თებერვალში წველადობამ 9 კილოგრამით იმატა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე, სულ წველადობამ კი საფურაჟე ძროხაზე შარშან 653 ლიტრი შეადგინა. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, წველადობა მაინც დაბალი დარჩა. ამის მიზეზი კი ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობა იყო.

წელს კოლმეურნეობამ შეიძინა ველის წითელი ჯიშის 10 ძროხა, რომლებიც თებერვლის ბოლოს დახბოიანდნენ და ახლა უკვე იწველიან. ძროხების გარდა, შემოყვანილი იქნა შვიცის ჯიშის 2 ბულამწარმოებელი. წელს პირველად დახბოიანდება აგრეთვე ადგილობრივი ჯიშთან შვიცის ჯიშის ნაჯვარი პირველი თ ა ო ბ ი ს 25 ძროხა.

ფერმის მუშაკები, რომლებიც გულმოდგინედ სწავლობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ერთი - მეორეს ეჯიბრებიან და იბრძვიან იმისათვის, რომ მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებული 850 ლიტრის ნაცვლად თვითეულ ძროხაზე 1.000 ლიტრი რძე მოწველონ.

## ემზადებიან ახალი მშენებლობისათვის

გამოიდარა. საკოლმეურნეო მინდვრებში გაიშალნენ კოლმეურნეები. მათი ნაწილი ქვის შეგროვებისა და ხე-ტყის მასალის მომზადებაზე მუშაობს. საკოლმეურნეო სახერხი, რომელიც გასულ წელს მოაწყეს, შეუფერხებლად მუშაობს ხის მასალის დახერხვაზე, კოლმეურნეობის აგურ-კრამიტის ქარხანაში გაცხოველებით ემზადებიან აგურისა და კრამიტის გამოწვისათვის.

წელს კოლმეურნეობა ააშენებს ერთ კულტურულ საძროხეს, ერთ საღორეს, 490 ტონა ს ი ლ ო ს ი ს ტევადობის 3 ტრანშეის, კულტურულ სახბორეს, 100 ტონა მარცვლის საწყობს, 1 კულტურულ ფერმას, საკოლმეურნეო ა ბ ა ნ ო ს და მწყემსთა ოთხოთახიან საცხოვრებელ სახლს.

## ადიდებენ ღორის ხორცის წარმოებას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობამ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია მეღორეობის შემდგომი განვითარების საქმეს: აშენდა კულტურული საღორე, გააუმჯობესდა ღორების მოვლა-პატრონობა და მნიშვნელოვნად გაამდიდრეს კვების რაციონი, რის შედეგადაც გ ა ს უ ლ წელს თვითეულ დედაღორზე 12 გოჭი გამოზარდეს.

ამჟამად ფერმაში 61 დედაღორია, მათგან უკვე დაგოჭიანდა 15 და თვითეულიდან მიღებულია 8-12 გოჭი. პარტიის XX ყრილობის მასალების გ ა ც ნ ო ბ ი ს ა ს ფერმის გამგემ ვ. კურანინმა, მომვლელებმა ი. ლიაშენკომ, ვ. სვერდუკმა და სხვებმა ვალდებულება იკისრეს წელს თვითეულ დედაღორზე გამოზარდონ 15 გოჭი.

ფერმაში მთავარი ყურადღება ექცევა ღორის ხორცის წარმოების გადიდების საქმეს. ამჟამად სუქებაზე დაყენებული ჰყავთ 62 ღორი, ხოლო 10 სული ამ დღეებში ჩააბარეს სახელმწიფო დამზადების პუნქტს. კოლმეურნეობის გამგეობას განზრახული აქვს წელს სახელმწიფოსათვის ხორცის დამზადებაში ღორის ხორცის ხვედრითი წონა 40 პროცენტამდე გაზარდოს.

## კოლმეურნეობის მინდვრებზე

იმ ვალდებულებათა განაღდებისათვის, რაც საბათლოელმა კოლმეურნეებმა იკისრეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის, კოლმეურნეობის ბრიგადებსა და რგოლებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მერგოლური ქალები ნ. არუსტამიანი, ს. არზუმანიანი, რიგითი კოლმეურნეები: დ. გრიგორიანი, ი. დანელიანი, ხ. მურადიანი და სხვები უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. მათ გამოამინდებისთანავე დაიწყეს ვენახის რიგების გამობარვა, კვალსათბურებში დათესეს კომბოსტო, პამიდორი და ბადრიჯანი ჩითილების გამოსაყვანად.

კოლმეურნეობის მინდვრებზე გუგუნებენ ტრაქტორები, მემინდვრეობის ორივე ბრიგადის ნაკვეთზე თესავენ გაზაფხულის ქერს, აწარმოებენ მძრალების აოშვას და კულტივაციას, მალე შეუდგებიან მზესუმზირას თესვას.

საბათლოელმა კოლმეურნეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეს. მათ დროულად მოამზადეს სათესი მანქანები, საუკეთესო ხარისხის თესლი. მათი გადაწყვეტილებაა პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის გაძლიერების მიზნით წელს 70 ჰექტარზე დათესონ სიმინდი სასილოსედ, მათ შორის 50 ჰექტარ ნაწვერალზე დაითესება მეორე მოსავლის მისაღებად.

### 1956 წელს

**იბრძვიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ დადგენილებათა განუხრელად განხორციელებისათვის, რომლებიც მიმართულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისაკენ, წელს საბათლოელი კოლმეურნეები სიმინდის წარმოებას ერთი-ორად გაადიდებენ. აქ საფურაჟე მარცვლეულის მისაღებად 150 ჰექტარზე დაითესება სიმინდი, 140—ჰექტარზე მზესუმზირა, ხოლო შემოდგომის ხორბალი —812 ჰექტარზე.**

## *Международный обзор*

# Обанкротившаяся политика

Движение за дальнейшее ослабление международной напряженности, за укрепление мира и сотрудничества между всеми государствами охватывает все более широкие круга общественности во всех странах. Требования общественности все чаще находят свое отражение в выступлениях газет, общественных деятелей и представителей деловых кругов как в Западной Европе, так и Азии и на Ближнем Востоке. Они ставят под сомнение правильность так называемой политики „с позиции силы".

Весьма характерны в этом отношении выступления некоторых крупных западноевропейских политических деятелей, имевшие место в последние дни. Министр иностранных дел Франции Пино, выступая 2 марта в Париже, прямо заявил, что Франция не согласна с „общим направлением западной политики в вопросах войны и мира". Он сказал, что считает неправельным „делать упор на часто военную силу". Пино потребовал пересмотра политики западных держав. С критикой политики военных блоков выступил президент Италии Гронки. В речи, произнесенной в США, куда он недавно выезжал, Гронки заявил, что политика усиленных военных приготовлений пережила себя и не соответствует больше современному международному положению; Критика политики „с позиции силы" заметно усилилась также в Англии. Недавно, например, член парламента лейборист Зиллиакус заявил, что Англия „идет к банкротству, так как необоснованная внешняя политика правительства ведет к тому, что стране навязывают непосильные обязательства и военные расходы".

Все эти заявления, особенно выступление французского министра иностранных дел Пино, вызвали многочисленные отклики. По словам иностранных обозревателей, выступление Пино произвело в столицах западных стран впечатление „разорвавшейся бомбы". Английский премьер министр Иден срочно пригласил французского премьер министра Ги Molле приехать в Лондон для переговоров. Сильно всполошились поборники политики „с позиции силы" в Соединенных Штатах Америки, где фабриканты оружия не желают расстаться с выгодной им политикой „с позиции силы".

Противники ослабления международной напряженности все еще цепляются за свою обанкротившуюся политику. Свидетельством этого является, в частности, сессия совета военного блока для Юго" Восточной Азии (СЕАТО), состоящаяся на днях в столице Пакистана Карачи. Эта сессия, как и сам военный блок для Юго Восточной Азии (в него входят США, Англия, Франция, Австралия, Новая Зеландия, Пакистан, Таиланд, Филиппины), призвана закабалить азиатские народы, создать предпосылки для подавления их национально-освободительного движения. На сессии государственный секретарь США по сути дела потребовал, чтобы СЕАТО служил целям осуществления американской политики „борьбы против азиатов руками азиатов".

Однако народы Азии не желают этого. СЕАТО осудил крупнейшие азиатские державы. На самой сессии в Карачи раздовались голоса против политики гонки вооружений.

Разбирая критические выступления видных государственных деятелей на Западе, многие газеты во Франции, Англии и Соединенных Штатах Америки настаивают на том, чтобы эти страны учли миролюбивую политику Советского Союза и пошли ей навстречу, отказавшись от политики „с позиции силы".

# ЗА ДРУЖБУ МЕЖДУ СССР И ДАНИЕЙ

С 2 по 6 марта в Москве находился Премьер-Министр и Министр иностранных дел Дании Хансен. Он и сопровождающие его лица имели беседы с руководящими государственными деятелями Советского Союза. Советско-датское коммюнике, опубликованное по этому поводу, представляет собой документ большого международного значения. В коммюнике подчеркивается, что откровенный обмен мнениями по вопросам, интересующим обе страны, проходили в обстановке дружественного взаимопонимания. Обе страны подтвердили, что отношения между государствами должны строиться на основе принципов мирного сосуществования, невмешательства во внутренние дела друг друга, уважения суверенитета, ненападения и мирного сотрудничества. Как известно, именно на эти принципы указал XX съезд КПСС, как на наилучшую в настоящих условиях формулу взаимоотношений государств с различным социальным строем. Обе страны выразили также стремление содействовать разрешению таких важных проблем, как прекращение гонки вооружений и обеспечение прочной безопасности. Предусмотрена также возможность расширения торговли между СССР и Данией, а также культурного и научного сотрудничества.

Дания— одна из небольших стран Северной Европы с населением в четыре с небольшим миллиона человек. Являясь экономически развитой страной, Дания особенно славится своим высоко продуктивным животноводством, которое дает на экспорт значительное количество масла, сыра, яиц, бекона и других продуктов. В 1949 г. Дания оказалась втянутой в Северо-атлантический блок и это отрицательно сказалась на ее экономике: военные расходы увеличились в несколько раз, возросли налоги, ухудшились возможности внешней торговли. В последнее время в деловых кругах Дании раздаются настойчивые требования расширить торговлю с Советским Союзом и со всеми странами социалистического лагеря.

Укрепление дружбы и сотрудничества между СССР и Данией отвечает интересам обеих стран. Датская газета „Политикен", подчеркивая, что датская экономика извлечет выгоду из советско-датских переговоров, справедливо указывает: торговля и более тесные связи между нациями способствуют укреплению мира на севере Европы и во всем мире.

**И. ЛАПИЦКИЙ.**



**Китайская Народная Республика.** К концу 1955 года, то-есть за три года первой пятилетки, в стране построен и сдан в эксплуатацию 271 крупный промышленный объект. В текущем году в КНР начинается или будет продолжено строительство более 500 крупных промышленных предприятий, в том числе первого в Китае автомобильного завода.

Сртоительство завода должно быть полностью завершено в 1956 году. Ряд цехов уже приступил к выпуску продукции.

На снимке: в цехе шасси.

Фото Чи Гуань-шаня (агентсво Синьхуа).



**Германская Демократическая Республика.** Недавно судостроительные верфи Ростока спустили на воду первый грузовой корабль водоизмещением 10.000 тонн. Длина корабля 157,6 метра. Корабль имеет четыре дизельных мотора по 2.400 лошадиных сил каждый. Скорость корабля до 16,5 мили в час.

На снимке: новый корабль перед спуском на воду.

Фото Центральбильд.

მეცხოველეობის ბინათმშენებლობაში სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობას კარგად ეხმარება ს ა ხ ე რ ხ ი ქარხანა (გამგე გ. მარაული).

ქარხანას დახერხილი აქვს რამოდენიმე ასეული კუბ. მეტრი ხის მასალა. მხერხავები: ი. ბარამაშვილი, შაქრიაძე და სხვები ხერხვის ყოველდღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

**ხ. ჟამიაშვილი.**

## შეჯიბრება ჭადრაკში

ჭადრაკი სპორტის ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო სახეა. ამიტომ არის, რომ იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მისი თამაში დაუცხრომელ ინტერესს იწვევს.

ჩვენი სკოლის ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი კომკავშირის კომიტეტის დახმარებით სისტემატურად ატარებს საჭადრაკო შეჯიბრებებს სკოლის პირად პირველობაზე.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ორჯერ მოეწყო შეჯიბრი ჭადრაკში. განსაკუთრებით საინტერესო იყო მეორე შეჯიბრი, რომელიც 28 თებერვლიდან 8 მარტამდე მიმდინარეობდა.

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა მ გამოავლინა მრავალი ნიჭიერი მოთამაშე: მ. მაჩაბლიშვილი, ვ. სეფიაშვილი, ე. ბალაშვილი, ვ. სეფიაშვილი, ე. შანშიაშვილი და სხვები, რომლებმაც შეასრულეს რა ნორმატივების მიხედვით სპორტული თანრიგები, წარდგენილ ი ქ ნ ე ნ რაიონის ფიზკულტურის კომიტეტში თანრიგის მისანიჭებლად.

ჩვენი სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი ხშირად ატარებს სასკოლო შეჯიბრებებს ფრენბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში და სპორტის სხვა სახეებში.

**გ. ალადაშვილი,**
**ვ. სეფიაშვილი.**

არბოშიკის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები.



**Москва.** В особняке Министерства иностранных дел СССР состоялась пресс-конференция по вопросу о запуске американскими военными органами воздушных шаров в пределы воздушного пространства СССР. На пресс-конференции присутствовали корреспонденты советских и зарубежных газет.

На снимке: подвесной контейнер аэрофотооборудования американских аэростатов.

Фото В. Савостьянова.

Фотохроника ТАСС




Уверяли...
Заверяли...
...а навоз и ныне там.

## თავისუფალ დროს

# ს ა ი დ უ მ ლ ო ქ ვ ა

ფრანგმა მოგზაურმა რენე გარდიმ ველურ და პირქუშ ალანტიკის მთებში (საფრანგეთის კამერუნისა და ნიგერიის საზღვარზე) მოგზაურობის დროს გრანიტის კლდის ციცაბო ფერდობზე აღმოაჩინა უცნაური ქვა.

ეს იყო დიდი ფილა სამი კვადრატული მეტრი ფართობისა, მისი ზედაპირი დაფარული იყო რთული ნაყშით, რომელიც შედგებოდა ქვაზე ღრმად ამოკვეთილი პარალელური, ერთმანეთის გადამკვეთი რიგებისაგან.

დაინტერესდა რა ნაყშიანი ქვით, მოგზაურმა გადაიღო მისი სურათი და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა. საიდუმლო ქვის წარმოშობის ირგვლივ სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებები წარმოიშვა.

არქეოლოგები და ეთნოგრაფები ამტკიცებენ, რომ ნაყში ქვაზე, ... ევოა, წარმოადგენს ადამიანის ... ლის ნამოქმედარს. ყოველ შემთხვევაში ძველი აფრიკელი ხალხების მთელ ისტორიაში ჯერ ცნობილი არ ყოფილა ასეთი ნაყშიანი ქვის აღმოჩენა. მინერალოგები და პეტროგრაფები თავის მხრივ კატეგორიულად უარყოფენ ამ ნაყშების წარმოშობას გამოქარვის ან სხვა რომელიმე ბუნების მოვლენის შედეგად.

ამრიგად, დღემდე საიდუმლოდ რჩება, წარმოადგენს ქვა ბუნების საოცრებას, თუ ეს ისტორიისათვის უცნობი ძველი აფრიკელი ხალხის წარმომადგენელი ადამიანის ნამოქმედარია.

(„მეცნიერება და ტექნიკა" 1956 წ. № 1).

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ის. მოლოდინი.

წითელწყაროს გაზეთ „ახალი შირაქის" სტამბა —Цители-Цкаро типография газеты „Ахали Ширакн"

ტირაჟი—Тираж 2. 700